განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასებისთარიღ(ებ)ი
12.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

22.07.2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური ექსპერტიზა
განათლებისსაფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ქიმიის მაგისტრი 0531
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელინა ბაქრაძე, გარემოს ეროვნული სააგენტო საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ჩხაიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ ციციშვილი, თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჭირაქაძე (სტუდენტი ექსპერტი). სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ – „ქიმიური ექსპერტიზა“ 2019 წელს მიიღო პირობითი აკრედიტაცია. ანიჭებდა „ქიმიური ექსპერტიზის“ მაგისტრის ხარისხს (120 ნ-ით, ანუ ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოთი), ამჟამად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“ შემოტანილია ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოთი, ანუ 69ნ-ით და ანიჭებს „ქიმიის“ მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში ცვლილებების განხორციელებამდე, კვალიფიკაციის ცვლილების დროს პროგრამა განიხილებოდა როგორც ახალი პროგრამა და ეს დაწესებულებას ცენტრის მიერ ეცნობა პროგრამის შემოტანის შემდეგ ხარვეზის წერილში, თუმცა დღეს მოქმედი აკრედიტაციის დებულების დანართ 2-ის 30-ე მუხლის 2[1] პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა – „ქიმიური ექსპერტიზა“ მომზადებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - სსუ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პერსონალის მიერ. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ორწლიანია და მოიცავს 120 კრედიტს.
აქედან, 60 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს; 6 კრედიტი - პროფესიულ პრაქტიკას; 30 კრედიტი - სამეცნიერო კომპონენტს, ხოლო 24 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, გამონაკლისის სახით ერთი საგანი იკითხება ინგლისურ ენაზე.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს კვების პროდუქტების, მათ ნაწარმების, კვების მრეწველობაში გამოყენებულ შესაფუთი და პოლიმერული მასალების ქიმიკოს ექსპერტის მომზადებას.
საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზის გარდა იგეგმება თსუ-ს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში; შპს ღვინის ლაბორატორიაში და თსუ-ს რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუციასთან სსუ-ს დადებული აქვს მემორანდუმები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 12 ივნისს (10:00-19:00) და დაგეგმილი განრიგის შესაბამისად წარიმართა. ჯგუფში შედიოდა ოთხი ექსპერტი: ელინა ბაქრაძე, ეკატერინე ჩხაიძე, ვლადიმერ ციციშვილი, ელენე ჭირაქაძე. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის მოქმედ მაგისტრანტებთან და მომიჯნავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის – მიკრობიოლოგია კურსდამთავრებულებთან.
ვიზიტის ფარგლებში მოხდა როგორც სსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) დათვალიერება, ასევე პროგრამაში ჩართული ოთხი ინსტიტუციისიმ ლაბორატორიების დათვალიერება, სადაც იგეგმება წარმოდგენილი პროგრამის მაგისტრანტების სწავლება და სამაგისტრო ნაშრომების შესრულება. ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან იყო ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ხუთივე სტანდარტს.

რეკომენდაციები

- ბიუჯეტში მოცემული რეაქტივების, ქიმიკატების, ჭურჭლის, მედიკამენტების და სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდოს ან მიეთითოს, რომ საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა რესურსით დაფინანსებას;
- აუცილებელია წარმოდგენილი იყოს სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარები და გამოკითხვის შედეგები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია სამომავლოდ გამოყენებული იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები, რომელიც იქნება ეფექტური და შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის.
  - სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალიზაციას;
  - სასურველია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქიმიური ექსპერტიზა“ გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა საერთაშორისო

კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით, ასევე, სტუდენტები მეტად ჩაერთონ ახალი კვლევებისა და სტატიების გამოქვეყნების პროცესში;

- სასურველია აკადემიური პერსონალი იყოს რაოდენობრივად მეტი, ვიდრე მოწვეული პერსონალი;

- პუბლიკაციებისრიცხვი IF-ის მქონე ჟურნალებში შედარებით დაბალია, ისევე როგორც მათი h-ინდექსი (Thomson Reuters / Web of Science) სასურველია აკადემიური პერსონალის შერჩევიისას ეს ფაქტორი იქნეს გათვალისწინებული;

- სასურველია, გაძლიერდეს მეცნიერების პროდუქტიულობის ინდივიდუალური შეფასებები;

- სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს საკუთარ ბაზაზე მატერიალურ- ტექნიკური რესურსი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - „ქიმიური ექსპერტიზა“ 2019 წლის 30 აპრილის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (სხდომისოქმი N27) გადაწყვეტილებით 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად, განხორციელდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „ქიმიური ექსპერტიზა“ მოდიფიცირება. საგანმანათლებლო პროგრამისპროფილი გახდაშედარებით ვიწრო, მეტი ყურადღება დაეთმო კვების პროდუქტებს, მათ ნაწარმებს, კვების მრეწველობაში გამოყენებულ შესაფუთ და პოლიმერულ მასალებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაში შესული ყველა სასწავლო კურსი გახდა - 6 კრედიტიანი.
საგანმანათლებლოპროგრამის სტრუქტურაში შეტანილ იქნა ცვლილებები. კერძოდ, სასწავლო კურსს: „ექსპერტიზის კვლევის ინსტრუმენტული მეთოდები“ შეეცვალა სახელწოდება და ჰქვია: „ნივთიერებათა კვლევის ოპტიკურ-სპექტროსკოპული მეთოდები“. შესაბამისი ცვლილება ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსშიც.
საგანმანათლებლოპროგრამიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსი: „ძვირფასი ლითონების და მინერალების ქიმია, ანალიზი და ექსპერტიზა“.
სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში შევიდა სასწავლო კურსები:
ა) „თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები“;
ბ) „პოლიმერების ფიზიკური ქიმია“;

საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში დაემატა სასწავლო კურსი: „კვების პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული პოლიმერების და პოლიმერული

მასალების ექსპერტიზა“. ასევე, სასწავლო კურსი: „ბუნებრივ ნაერთთა კვლევა ქვანტურ-ქიმიური მოდელირებით“ სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი სასწავლო კურსი.

საგანმანათლებლო პროგრამაში გაიზარდა ანალიზის მნიშვნელოვანი კლასიკური და თანამედროვე მეთოდების წილი, კერძოდ, ნივთიერებათა კვლევის მას-სპექტრომეტრული მეთოდები, ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს კვლევის მიმართულებების გაფართოება.
სილაბუსებში რეკომენდაციის შესაბამისად, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასების ნაწილში მოხდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრა.
შეიცვალა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ქიმიური ექსპერტიზა“ მისაღები საგამოცდო საკითხები. კერძოდ, გაფართოვდა და ამჟამად, სრულად ფარავს იმ საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ მაგისტრანტმა შეძლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სათანადოდ ათვისება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“ მიზნად ისახავს კვების პროდუქტების, მათი ნაწარმების, კვების მრეწველობაში გამოყენებულ შესაფუთი და პოლიმერული მასალების ექსპერტიზის მიმართულებით სპეციალისტების მომზადებას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შედეგზე ორიენტირებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების საფუძველზე, ქიმიური ექსპერტიზის კუთხით სტუდენტებს შესძინოს ცოდნა ისეთ აქტუალურ საკითხებში, როგორიცაა: • თანამედროვეინსტრუმენტულიანალიზისფიზიკურ-ქიმიური, პოლიმერების ფიზიკური ქიმიის მეთოდები - კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, ნივთიერებების თვისებათა იდენტიფიკაციისათვის, წინასწარდასახული თვისებების მქონე ახალი პოლიმერული სისტემების შექმნისათვის, მათი საექსპლუატაციო თუ სხვა თვისებების კონტროლისათვის. • ქიმიური ექსპერტიზის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ნივთიერებათა კვლე-

ვის ოპტიკურ-სპექტროსკოპიული, მას-სპექტროსკოპიული, ქრომატოგრაფიული მეთოდები, საექსპერტო ობიექტების კვლევა, საექსპლუატაციო მასალების მაჩვენებლების დადგენა.

- სახელმწიფო და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში დაბინძურებული გარემოს მონიტორინგი, სასმელი და მინერალური წყლების, ალკოჰოლური სასმელების, სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტების ანალიზი და ექსპერტიზა.
- თანამედროვე კვლევის ატომურ-აბსორბციული, ქრომატოგრაფიული და სპექტრომეტრული მეთოდების გამოყენებით.
- შესაფუთი მასალების და კვების პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული პოლიმერული მასალების ექსპერტიზის არსი, საექსპლუატაციო თვისებების კონტროლი უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის დაბინძურების, საქონლის სამომხმარებლო თვისებების, პროდუქციის წარმოებისას ჰიგიენური მოთხოვნების, სერტიფიცირება – აკრედიტაციის საერთაშორისო და ეროვნული ნორმატივების დაუფლება.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას შესწავლილ იქნა შრომის ბაზარი, ჩატარებულ იქნა შრომატევადი სამუშაო.

შრომის ბაზრის მოთხოვნის შესწავლა განხორციელებულია როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საშუალებით.

შერჩეული ფოკუს ჯგუფებისათვის მიწოდებული კითხვარები არის რელევანტური, ასახავს ადგილობრივი შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს და იძლევა სწორი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

პროგრამასაჯაროდახელმისაწვდომია. განთავსებულიასსუ-ისვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები:უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია.

რეკომენდაციები:

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერით დადგენილ დარგობრივ მახასიათებლებს. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება „ქიმიის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამას წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც სამი პუნქტისგან შედგება:

1. აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლისთვისაც იყენებენ: გაუსის ნორმალური განაწილების შკალას და აღნიშნული შკალიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გეგმავენ პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვას, თუმცა არაა დაკონკრეტებული რა პერიოდულობით აპირებენ ამ კვლევის ჩატარებას ან პროგრამის განხორციელების რომელ ეტაპზე.

2. სწავლის შედეგის ინდიკატორად მითითებულია სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა,

რომელიც ინფორმატიულია, თითოეულ შედეგზე მითითებულია დაახლოებით ათი სასწავლო კურსი. 3. ინდიკატორად მოცემულია ჰოლისტიკური ან/და ანალიტიკური რუბრიკები. თითოეული რუბრიკა მოიცავს კრიტერიუმებს, თუმცა არ ახლავს განმარტება რა სიხშირით, ან რა ეტაპზე გამოიყენება აღნიშნული შეფასება.წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, ასევე, სასწავლო კურსების შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც გაწერილია სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის. საგანმანათლებლოპროგრამისშემუშავებისპროცესიარისსაჯაროდაგამჭვირვალე.სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში და მის შემდგომ სრულყოფაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, სავარაუდო დამსაქმებელი). აკადემიური პერსონალის ჩართულობა გამოიხატება გუნდური მუშაობის პრინციპით, რაც ვიზიტისას გამოიკვეთა. პროგრამა და სასწავლო პროცესი სტუდენტზე არის ორიენტირებული და ითვალისწინებს მის ინტერესებს. აღნიშნულს ადასტურებს პროგრამის დახვეწა, არჩევითი და სავალდებულო კურსების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება.დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დასადასტურებლად საგანმანათლებლო პროგრამას წარმოდგენილი აქვს ინტერვიუები სავარაუდო დამსაქმებლებთან, აკადემიური პერსონალის კითხვარები. ცალკე არ არის წარმოდგენილი სტუდენტთა მიერ შევსებული კითხვარები. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით. აღნიშნული ინსტრუქცია დამტკიცებულია სსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ადამიანური რესურსი და საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმები. პროგრამას წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ პროგრამას 2019 წელს მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და ანიჭებდა „ქიმიური ექსპერტიზის“ მაგისტრის ხარისხს. ამჟამად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ანიჭებს „ქიმიის მაგისტრის“ აკადემიურ ხარისხს და შესაბამისად, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიც უნდა იყოს მოდიფიცირებული პროგრამის ადეკვატური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ინტერვიუ მოწვეულ დააკადემიურ პერსონალთან; • შრომისბაზრისკვლევის დოკუმენტი; • ჩართული მხარეების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • სსუ სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • სასწავლო კურსების შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; • გამოკითვის შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანია, საჯარო და ხელმისაწვდომია. ლოგიკურად არის დაკავშირებული სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტების ვებ-გვერდზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ქიმიური ექსპერტიზა“ მისაღები საგამოცდო საკითხები სრულად ფარავს იმ საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ მაგისტრანტმა შეძლოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სათანადოდ ათვისება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სსუ სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტების ვებგვერდი • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით;
სამაგისტრო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერით დადგენილ სტანდარტებს. კურსდამთავრებულს მიენიჭება „ქიმიის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი.
საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებშ იასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, პროგრამაში შემავალი სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები, თითოეული სასწავლო კურსი არის ლოგიკურად და თანამიმდევრულად დალაგებული, გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც არის ადეკვატური და მოცემულია სილაბუსებში. პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორწლიანია და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა ორი კომპონენტისგან შედგება: სასწავლო და კვლევითი კომპონენტისგან. სასწავლო კომპონენტი განაწილებულია სწავლების პირველ, მეორე და მესამე სემესტრებზე. აქედან 60 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს; 6

კრედიტი - პროფესიულ პრაქტიკას; 30 კრედიტი - სამეცნიერო კომპონენტს, ანუ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას (კვლევითი კომპონენტი - გადანაწილებულია სწავლების მე–3 და მე-4 სემესტრებზე), ხოლო 24 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს. პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები მაგისტრანტს საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა მისი ინტერესების ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურაში ყურადღება დაეთმო კვების პროდუქტებს, მათ ნაწარმებს, კვების მრეწველობაში გამოყენებულ პოლიმერულ და შესაფუთ მასალებს. პროგრამაში გაიზარდა ანალიზის მნიშვნელოვანი კლასიკური და თანამედროვე მეთოდების წილი(ნივთიერებათა კვლევის მას-სპექტრომეტრული მეთოდები, ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდები); დაემატა თეორიული საფუძვლები ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების და პოლიმერების ფიზიკური ქიმიის მიმართულებით; შეეცვალა სახელწოდება ექსპერტიზის კვლევის ინსტრუმენტულ მეთოდებს - კვლევის ოპტიკურ-სპექტროსკოპული მეთოდებით, შესაბამისად, შეიცვალა სილაბუსების შინაარსი; სილაბუსებში პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასების ნაწილში ასახულ იქნა მინიმალური კომპეტენცია. მოხდა ცალკეული სილაბუსების კორექტი-რება; ლიტერატურის განახლება - როგორც სილაბუსებში, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში; ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, გაიწერა პროგრამის ბიუჯეტი დეტალურად, სადაც ასახულ იქნა სამაგისტრო ნაშრომების შესასრულებლად საჭირო თანხები. სსუ უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის - „ქიმიური ექსპერტიზა“ შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.; • სსუ სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • სილაბუსები. • თვითშეფასების დოკუმენტი. • ინტერვიუს შედეგები. • უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სამომავლოდ გამოყენებული იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები, რომელიც იქნება ეფექტური და შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს;
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტებისრაოდენობა სრულ შესაბამისობაშია სილაბუსის სწავლის შედეგებთან და პროგრამისსწავლის შედეგებთან. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადეკვატურია. სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული ინფორმაცია სრულყოფილია.
სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულიაქიმიის/ქიმიური ექსპერტიზის სფეროს: კვლევის ოპტიკურ-სპექტროსკოპიული, მას-სპექტრომეტრული, ქრომატოგრაფიული მეთოდების, კვების პროდუქტების, ალკოჰოლური სასმელების, სასმელი და მინერალური წყლების, პოლიმერული მასალების,სასურსათო პროდუქტების სამომხმარებლო თვისებების და ექსპერტიზის, და სხვ.აქტუალური საკითხების მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლისშედეგების მიღწევას.
უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ელექტრონული ბიბლიოთეკით და ჩართულია ერთიან ელექტონულ საბიბლიოთეკო ქსელში, უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებთან

(ელსევიერი). სავალდებულო წიგნადი ფონდი, სასწავლო-მეთოდური მასალა.
უნივერსიტეტი განახლდა უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით, სახელმძღვანელოებით, ელექტრონული წიგნებით.იყენებენ ელექტრონულ ბიბლიოთეკას და ეწოდებათ კონსპექტები, რაც ფაქტობრივად ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში შეტანილია ინგლისურენოვანი ლიტერატურები/რესურსები;
პროგრამის სავალდებულო 6 კრედიტიანი სასწავლო კურსის„Food Chemistry“ (კვების ქიმია – ლექცია/სასემინარი)ჩატარებაგანხორციელდება ინგლისურ ენაზე;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალიზაციას

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს მაგისტრანტის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნულ დაწესებულებებში პროფესიულ პრაქტიკას უხელმძღვანელებენ და შეაფასებენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები; სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილე მაგისტრატურისსტუდენტებს ხელმძღვანელობას გაუწევს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პროფესორები. მაგისტრანტები შეასრულებენ სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკულ ნაწილს, ერთვებიან კვლევით პროექტებში, ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. პროფესიული პრაქტიკა განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებთან და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე: შპს ღვინის ლაბორატორიასთან - ალკოჰოლური სასმელებში თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება, პროფესიული პრაქტიკის, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებას უზრუნველყოფს ლაბორატორიის ხელმძღვანელი. თსუ-ს რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტთან - პროფე-სიული პრაქტიკის, სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელებას უზრუნველყოფს ინსტიტუტის დირექტორი. სსიპ – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში სასმელი და მინერალური წყლების, კვების პროდუქტთა ანალიზის და ექსპერტიზის მიმართულებით – სამეცნიერო და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება, პროფესიული პრაქტიკის, სამაგისტრო ნაშრომების შესრულება; თსუ–ს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში – პოლიმერების ფიზიკური ქიმიის საფუძვლების, კვებაში გამოყენებული პოლიმერების და პოლიმერული მასალების ექსპერტიზის, ნივთიერებათა კვლევის ქრომატოგრაფიული, მას–სპექტრომეტრული მეთოდების ასათვისებლად – თეორიული და პრაქტიკული და სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას, ერთობლივი საერთაშორისო პროექტების, სემინარების და კონფერენციების ჩატარებას და განხორციელებას. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება შიდა საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სამეცნიერო კრებულებში. უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, სწავლობს უცხოურ პრაქტიკას და ხელს უწყობს მის დანერგვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • მემორანდუმები; • სტუდენტური კონფერენციები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები, შეესაბამება კურსის შინაარს და უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული კომპონენტების თანამიმდევრობა აუცილებელია სასწავლო პროგრამის სრულყოფილად შესრულებისა და სწავლის შედეგის მიღებისთვის. პროგრამის თითოეული კომპონენტი დაფუძნებულია მაგისტრანტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნაზე და უნარებზე. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები ეტაპობრივად ხორციელდება. სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები დეტალურადაა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში. სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სილაბუსებით დაგეგმილი საკითხების შესწავლას. სწავლება-სწავლის მეთოდები დაეფუძნება შემდეგს: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლაბორატორიული მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარული მუშაობა, საკონტროლო სამუშაოები, პროექტის პრეზენტაცია), დამოუკიდებელი სამუშაო (საპრეზენტაციო პროექტის შემუშავება, კონსულტაციები), შუალედური და დასკვნითი გამოცდები, სამაგისტრო ნაშრომი, საწარმოო პრაქტიკა. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. სასწავლო კურსებში მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამა; • სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

შეფასება ხორციელდება სსუ-ში მოქმედი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 თანახმად.

სამაგისტრო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

შეფასების ფორმები დეტალურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. აღნიშნული ინფორმაცია არის ღია, საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული პროცედურების შესაბამისად. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი - შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორის/ავტორების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე.

იმ პირობით, რომ შუალედური გამოცდა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 20 ქულით და აუცილებლად წერითი ფორმით, შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს 11 ქულაზე ნაკლები. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების 50% -ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
აღნიშნული საშუალებას იძლევა სტუდენტმა ჩაატაროს კვლევა და განავითაროს პრაქტიკული უნარები. შესაბამისად კი, მიღწეულ იქნას სწავლის დაგეგმილი შედეგი.
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.
შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირებულობის, გამოცდების შედეგების გადამოწმების და საგამოცდო პროცესის შედეგების ანალიზის მიზნით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - ერთიანი საგამოცდო ცენტრი, სადაც ცენტრალიზებულად ტარდება შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდები.
სსუ სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებს, რომელიც წარმოდგენილია ჰოლისტიკური რუბრიკით. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით, განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები. კერძოდ, ნაშრომის ფორმალური მხარე - 10 ქულა, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა - 20 ქულა, ფაქტობრივი მასალის ფლობა, გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტაცია - 30 ქულა, კვლევისა და ანალიზის უნარი - 30 ქულა, პრეზენტაცია - 10 ქულა
სსუ-ში უზრუნველყოფილია სტუდენტთა მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრება არსებულ შიდა საუნივერსიტეტო ნორმატივის შესაბამისად, კერძოდ, სსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.
ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

